

2010

ინსტრუქცია

თქვენს წინაშეა საგამოცდო ტესტის ბუკლეტი და ამ ტესტის პასუხების ფურცელი.
გაითვალისწინეთ, გასწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელი!
პასუხების ფურცლის გაკეცვა დაუშვებელია!

ყურადღებით გაეცანით ტესტის ყოველი დავალების ინსტრუქციას, კარგად გაიაზრეთ თითოეული დავალების მოთხოვნა და შემდეგ დაიწყეთ მუშაობა. პასუხები უნდა ჩაწეროთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილზე. პასუხების ფურცელში არ შეიძლება გაკეთდეს გედმეგი სახის მინაწერები (სახელი, გვარი ან რაიმე სახის სხვა აღნიშვნა). ნაშრომები, რომელშიც იქნება მსგავსი სახის აღნიშვნები, არ გასწორდება.

წერეთ გარკვევით და იმყოფინეთ პასუხებისთვის განკუთვნილი ადგილები.

დავალებაში - «არჩევითბოლოიანი კითხვა» - თქვენს მიერ არჩეული პასუხის სწორად მონიშვნის ერთადერთი გზა სათანადო უჯრაში X ნიშნის დასმაა. არც ერთი სხვა აღნიშვნა – ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა.შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება; თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი, და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. სხვა ტიპის დავალებებში შეცდომა აუცილებლად უნდა გადახაზოთ და ზემოთ დააწეროთ სწორი პასუხი. ყოველ შეკითხვას გაეცით კონკრეტული და ამომწურავი პასუხი.

ტესტზე სამუშაოდ აბიგურიენტს ეძლევა 3 საათი. შავი სამუშაოსათვის შეგიძლიათ გამოიყენოთ ტესტში არსებული ცარიელი ადგილები.

გისურვებთ წარმატებას!

I – არჩევითბოლოიანი კითხვა

ინსტრუქცია

თითოეულ კითხვაზე მოცემულია ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. პასუხების ფურცელში უნდა გადახაზოთ არჩეული პასუხის შესაბამისი უჯრა. თითოეული დაგალება 1 ქულით ფასდება.

(1) 1. რომელი სახელმწიფოს მეფე იყო დარიოსი?

- ა. სპარსეთის
- ბ. ურარტუს
- გ. მითანის
- დ. ბაბილონის

(1) 2. სტრაბონის ცნობის მიხედვით, ვინ შედიოდა ქართლის სამეფოს მოსახლეობის მეოთხე გვარში?

- ა. თავისუფალი მიწათმოქმედები
- ბ. ყმები
- გ. გლეხები
- დ. სამეფო მონები

(1) 3. რომელი იყო სასანიანთა ირანის სახელმწიფოს ოფიციალური რელიგია?

- ა. ზოროასტრიზმი
- ბ. მითრაიზმი
- გ. ბუდიზმი
- დ. კერპთაყვანისმცემლობა

(1) 4. ვინ გამოგზავნა საქართველოში ბუღა თურქი?

- ა. სულთანმა
- ბ. ხალიფამ
- გ. შაჰმა
- დ. ყაენმა

(1) 5. ვინ იყო რომის პაპის, იოანე XXII-ის თანამედროვე საქართველოს მეფე?

- ა. დემეტრე II
- ბ. ბაგრატ III
- გ. დავით IV
- დ. გიორგი V

(1) 6. რომელი მეფის მოღვაწეობის შესახებ მოგვითხრობს ისტორიკოსი ალ-ფარიკი?

- ა. ბაგრატ III
- ბ. დავით IV
- გ. თამარის
- დ. გიორგი V

(1) 7. მონღოლთა მიერ დაწესებული სამხედრო ბეგარის თანახმად, ქართველებს უნდა გამოეყვანათ:

- ა. ცხრა ოჯახიდან ერთი მეომარი
- ბ. თითო ოჯახიდან თითო მეომარი
- გ. ათი მამაკაციდან ერთი მეომარი
- დ. ხუთი მამაკაციდან ერთი მეომარი

(1) 8. რომელ პერიოდში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მარტინ ლუთერი?

- ა. XI საუკუნის ბოლოსა და XII საუკუნის I ნახევარში
- ბ. XIII საუკუნის ბოლოსა და XIV საუკუნის I ნახევარში
- გ. XV საუკუნის ბოლოსა და XVI საუკუნის I ნახევარში
- დ. XVII საუკუნის ბოლოსა და XVIII საუკუნის I ნახევარში

(1) 9. რომელ საუკუნეში მოღვაწეობდა ქართლის მეფე სვიმონ I?

- ა. XV
- ბ. XVI
- გ. XVII
- დ. XVIII

(1) 10. ვინ იყო 1709 წელს თბილისში სტამბის დაარსების ინიციატორი?

- ა. თეიმურაზ I
- ბ. ვახტანგ VI
- გ. გიორგი IX
- დ. ერეკლე II

(1) 11. რომელი ეკუთვნოდა ფრანგ „განმანათლებელთა“ ჯგუფს?

- ა. შარლ მონტესკიე
- ბ. ერაზმუს როტერდამელი
- გ. ნიკოლო კოპერნიკი
- დ. ჟან კალვინი

(1) 12. საფრანგეთის რომელი მეფე დაატყვევეს პარიზელებმა 1792 წელს?

- ა. ფრანცისკ I
- ბ. შარლ X
- გ. ლუი XVI
- დ. ანრი IV

(1) 13. ვინ სარდლობდა ფრანგებს ვატერლოს ბრძოლაში?

- ა. ბონაპარტე
- ბ. პიშეგრიუ
- გ. მარატი
- დ. მიურატი

(1) 14. რომელი მუსიკოსი შეეწირა XX საუკუნის 30-იანი წლების რეპრესიებს?

- ა. რევაზ ლალიძე
- ბ. მელიტონ ბალანჩივაძე
- გ. ზაქარია ფალიაშვილი
- დ. ევგენი მიქელაძე

(1) 15. რომელი არ არის სახელმწიფოს უფლება?

- ა. კანონის მიღება
- ბ. გადასახადების აკრეფა
- გ. კანონის დამრღვევთა დასჯა
- დ. მეწარმეობა

II – ქრონოლოგიის განსაზღვრა

ინსტრუქცია

ქრონოლოგიური პრინციპით დააღაგეთ ისტორიული პიროვნებები მათი მოღვაწეობის დროის მიხედვით, ხოლო ისტორიული მოვლენები – ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელში მოცემულ უჯრებში. გაითვალისწინეთ, რომ უჯრაში იწერება მხოლოდ დასახელებული მოვლენის ან პიროვნების შესაბამისი ციფრი. პირველ უჯრაში იწერება ის ციფრი, რომლითაც ყველაზე ადრე მომხდარი მოვლენაა აღნიშნული და ა.შ. შესაბამისად, ბოლო, მეოთხე უჯრაში ის ციფრი ჩაიწერება, რომლითაც ყველაზე გვიან მომხდარი მოვლენა აღინიშნა. თითოეული დავალება მაქსიმუმ 3 ქულით ფასდება.

(3) 16. ქრონოლოგიური პრინციპით დააღაგეთ საქართველოს მეფეები მათი მოღვაწეობის დროის მიხედვით (უბეველესიდან უახლესისაკენ):

1. გიორგი II
2. ვახტანგ გორგასალი
3. თამარი
4. ფარსმან II

(3) 17. ქრონოლოგიური პრინციპით დააღაგეთ შემდეგი მოვლენები (უბეველესიდან უახლესისაკენ):

1. ჰერაკლე კეისრის ლაშქრობა ქართლში
2. ჯვაროსნული ლაშქრობების დაწყება
3. “დაცვის სიგელის” დადება
4. “თავისუფლების დიდი ქარტიის” მიღება

(3) 18. ქრონოლოგიური პრინციპით დააღაგეთ მმართველები მათი მოღვაწეობის დროის მიხედვით (უბეველესიდან უახლესისაკენ):

1. შაჰ აბას I
2. იუსტინიანე
3. კამბიზი
4. მალიქ-შაჰი

III – მრავალწერტილის შეესება

ინსტრუქცია

ტექსტში გამოტოვებული სიტყვების ან თარიღების ნაცვლად ჩაწერეთ სწორი პასუხები. თითოეული გამოტოვებული ადგილი დანომრილია (1, 2, 3). პასუხების ფურცელში 1-ით დანომრილ ადგილზე ჩაწერება ის პასუხი, რომელსაც ტექსტში 1-ით აღნიშნულ გამოტოვებულ ადგილზე ჩაწერდით და ა.შ. თითოეული სწორი პასუხი 1 ქულით ფასდება. დავალების მაქსიმალური ქულაა 3.

(3) 19. 1223 წელს საქართველოს მეფის (1) გარდაცვალების შემდეგ ტახტი მისმა დამ, რუსუდანმა დაიკავა. სწორედ მისი მეფობის დროს საქართველო (2) დაიპყრეს. მათთან ბრძოლაში სამეფო კარმა თავი დამარცხებულად ცნო და ზავი ითხოვა. ზავის პირობების თანახმად, რუსუდანმა თავისი ძე, დავითი მეფედ დასამტკიცებლად მონღოლთა ყაენთან გაგზავნა. დავით VI ისტორიაში (3) სახელით შევიდა.

გიორგი I;	სელჩუკები;	ულუ;	გიორგი III;	მონღოლები;
ნარინი;	გიორგი IV;	ოსმალები;	ხანი.	

(3) 20. XVIII საუკუნის II ნახევარში იმერეთში (1) მეფობდა. იგი ძალ-ღონეს არ იშურებდა, რათა სამეფო ხელისუფლება განემტკიცებინა და ქვეყანა გაეძლიერებინა, მაგრამ კავკასიაში რუსეთის გამოჩენამ ყველაფერი შეცვალა. (2) წელს რუსეთის იმპერატორმა (3) იმერეთის სამეფო გააუქმა. რუსეთმა მთელი საქართველო დაიპყრო. ქართველი ხალხი არ ეგუებოდა დამოუკიდებლობის დაკარგვას და ბრძოლას განაგრძობდა.

ალექსანდრე V;	ნიკოლოზ I;	1810;	დავით XI;	ალექსანდრე I;
1817;	სოლომონ I;	პავლე;	1823.	

IV - შესაბამისობების პოვნა

ინსტრუქცია

დაადგინეთ შესაბამისობა თითოეული კითხვის ორ სვეტში მოცემულ ინფორმაციას შორის. პასუხები უნდა ჩაწეროთ პასუხების ფურცელში განთავსებულ ცხრილში (x ნიშანი უნდა დასვათ სწორი პასუხის ადგილას. მაგ.: „1“ და „ბ“-ის გადაკვეთაზე). თითოეული დავალება მაქსიმუმ 4 ქულით ფასდება.

(4) 21. იპოვეთ შესაბამისობა მოვლენებსა და თარიღებს შორის:

- | | |
|--|---------|
| 1. გეორგიევსკის ტრაქტატის განახლება პავლე I-სა და გიორგი XII-ს შორის | ა. 1771 |
| 2. იაკობინელთა ხელისუფლების დამხობა | ბ. 1774 |
| 3. მონარქიის დამხობა საფრანგეთში | გ. 1785 |
| 4. ქუჩუკ-კაინარჯის ზავი | დ. 1792 |
| | ე. 1794 |
| | ვ. 1799 |

(4) 22. იპოვეთ შესაბამისობა პიროვნებებსა და მოვლენებს შორის:

- | | |
|-------------|--|
| 1. სრუშჩოვი | ა. სამოქალაქო ომი ესპანეთში |
| 2. მანდელა | ბ. ომი ვიეტნამში |
| 3. ჩერჩილი | გ. „ცივი ომის“ დაწყება |
| 4. ვალენსა | დ. „კარიბის კრიზისი“ |
| | ე. ბრძოლა „აპარტეიდის“ წინააღმდეგ |
| | ვ. მოძრაობა „სოლიდარობის“ ხელმძღვანელობა |

V - შეცდომის აღმოჩენა

ინსტრუქცია

ყურადღებით შეისწავლეთ ქვემოთმოყვანილი ტექსტი. იპოვეთ მასში დაშვებული შეცდომები. პასუხების ფურცელში მოცემულ ცხრილში გადაიტანეთ ნაპოვნი შეცდომა და მისი გამოსწორებული ვარიანტი. გაითვალისწინეთ, რომ შეფასდება როგორც თქვენ მიერ ნაპოვნი შეცდომა, ისე მისი გამოსწორებული ვარიანტი. ასევე გაითვალისწინეთ, რომ პასუხების ფურცელში მოცემული ცხრილის შესაბამის ადგილზე უნდა ჩაიწეროს მხოლოდ ერთი სიტყვა, თარიღი, სახელი და ა.შ. და არავითარ შემთხვევაში, მთელი წინადადება ან თუნდაც რამოდენიმე სიტყვა. დავალების მაქსიმალური ქულაა 20.

(20) 23. II მსოფლიო ომი

1937 წლის 1 სექტემბერს გერმანიის ჩეხეთზე თავდასხმით II მსოფლიო ომი დაიწყო. 1940 წელს გერმანიამ შეტევა წამოიწყო საფრანგეთის წინააღმდეგ და მალე პარიზიც დაიკავა. 1942 წლის 22 ივნისს გერმანია თავს დაესხა რუსეთს. იმავე წლის შემოდგომაზე გერმანული სამხედრო შენაერთები უკვე მოსკოვის მისადგომებთან იყვნენ, თუმცა ქალაქის აღება ვერ შეძლეს. წლის ბოლოს კი, 7 დეკემბერს გერმანიის ავიაციამ აშშ-ს სამხედრო ძალების ბაზა, პერლ-ჰარბორი დაბომბა, რის შემდეგაც მსოფლიო ომში აშშ-ც ჩაება. საომარი მოქმედებები სამხრეთ აფრიკაშიც მიმდინარეობდა. დასავლეთის ფრონტზე გერმანიამ მძიმე მარცხი იწვნია ჯერ სტალინგრადთან, შემდეგ კი კურსკთან. 1944 წელს საფრანგეთმა და აშშ-მ „მეორე ფრონტი“ გახსნეს, რამაც გერმანიის მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა. 1946 წლის მაისში გერმანიამ ხელი მოაწერა კაპიტულაციას და ევროპაში ომი დამთავრდა. თუმცა სამხედრო მოქმედებები გრძელდებოდა აზიაში. აგვისტოში აშშ-მ ხიროსიმასა და ნაგასაკიში ატომური ბომბები ჩამოაგდო. 2 სექტემბერს ჩინეთმა ხელი მოაწერა კაპიტულაციას და ამით II მსოფლიო ომი დამთავრდა.

VI - ისტორიული წყაროს ანალიზი

ინსტრუქცია

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ისტორიული დოკუმენტი, გაიაზრეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 12.

(12) 24. პუბლიუს კორნელიუს ტაციტუსი¹ - გერმანელების წარმოშობასა და ადგილმდებარეობაზე

მე თავად ვუერთდები იმ ადამიანთა აზრს, რომლებიც თვლიან, რომ გერმანიის ხალხები, ქორწინების საშუალებით, არ ერეოდნენ სხვა ტომის ხალხებს და წარმოდგენდნენ განსაკუთრებულ, სუფთა ხალხს. აქედან გამომდინარე, მათ ყველას ერთნაირი გარეგნობა აქვთ, რამდენადაც ეს შესაძლებელია ამ რაოდენობით ადამიანში: მკაცრი, მუქი ცისფერი თვალები, წითური თმები, დიდი სხეული, რომელიც მხოლოდ ხანმოკლე სამუშაოს უძლებს, მათ არ ყოფნით მოთმინება ხანგრძლივი და მუყაითი შრომისათვის; ისინი საერთოდ ვერ უძლებენ წყურვილს და სიცხეს, თუმცა უამინდობამ და უნაყოფო ნიადაგმა შეაგუა ისინი შიმშილსა და სიცივეს.

მათი ქვეყანა მრავალფეროვანია, თუმცა შემადრწუნებელია თავისი ტყეებითა და ჭაობებით. ის ნაწილი, რომელიც გალიას ემიჯნება, უფრო ტენიანია, ხოლო ნორიკისა და პანონიის საზღვარზე – უფრო ქარიანია. ნარგავებისათვის მათი მიწა ნაყოფიერია, მაგრამ არ გამოდგება ხეხილისათვის. შინაური ცხოველები უამრავია, თუმცა ძირითადად ტანმორჩილები არიან. გერმანელებს უყვართ ბევრი საქონელი, ეს არის მათი სიმდიდრის ერთადერთი და ყველაზე სასიამოვნო წყარო. ოქრო და ვერცხლი მათ ღმერთებმა არ უწყალობეს, არ ვიცი, ამით დალოცეს თუ დაწყევლეს ისინი. თუმცა მე არ ვამტკიცებ, რომ გერმანიაში საერთოდ არ არის ვერცხლის და ოქროს საბადოები. ნეტა ვინ შეისწავლა ისინი? თუმცა გერმანელებს არ აინტერესებთ ძვირფასი მეტალები. ისინი ერთნაირად გულგრილნი არიან, როგორც მათი ელჩებისა და უხუცესებისათვის ნაჩუქარი ვერცხლის ჭურჭლის, ასევე თიხის ნაკეთობების მიმართ. თუმცა ჩვენს სიახლოვეს მყოფი ტომები აფასებენ ზოგიერთ ჩვენ მონეტას და ზოგიერთს პატივსაც სცემენ. ქვეყნის შიგნით მცხოვრებნი კი ვაჭრობის უფრო ძველ და მარტივ ფორმას მიმართავენ, კერძოდ, გაცვლას.

¹ პუბლიუს კორნელიუს ტაციტუსი (დაახლ. 54-120წწ.), რომაელი ისტორიკოსი.

კითხვები:

(2) **24.1.** რა აზრი გააჩნდა ტაციტუსს გერმანელების სხვა ხალხებთან ქორწინების შესახებ და რა დასკვნას აკეთებდა იგი აქედან გამომდინარე?

(2) **24.2.** წყაროს მიხედვით, გერმანელთა ხასიათიდან და მათი საცხოვრებელი გარემოდან გამომდინარე, რას შეეგუენ და რას ვერ უძლებენ ისინი?

(4) **24.3.** წყაროს მიხედვით, მეურნეობის რა დარგებია განვითარებული ძველ გერმანელებში? მეურნეობის რომელ დარგს ვერ ავითარებდნენ ისინი და რატომ?

(2) **24.4.** ტაციტუსის სიტყვების გათვალისწინებით - “ოქრო და ვერცხლი მათ ღმერთებმა არ უწყალობეს, არ ვიცი, ამით დალოცეს თუ დაწყევლეს ისინი” - თქვენი აზრით, რატომ შეიძლება ოქრო-ვერცხლის არ ქონა ჩაითვალოს, ერთი მხრივ, დალოცვად და, მეორე მხრივ, დაწყევლად? თქვენი მოსაზრება აუცილებლად დაასაბუთეთ.

(2) **24.5.** დოკუმენტის მიხედვით, ვაჭრობის რომელ მარტივ ფორმას მიმართავენ ქვეყნის შიგნით მცხოვრები გერმანელები და, თქვენი აზრით, რატომ?

VII - ისტორიული რუკა

ინსტრუქცია

დავალებაში მოცემულია გარკვეული ეპოქის ისტორიული რუკა. რუკაზე არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, უპასუხეთ დავალებაში დასმულ კითხვებს, ხოლო პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 10.

(10) **25.** მოცემულია რუკა, რომელსაც არ გააჩნია სათაური, ლეგენდის ნაწილს კი მთლიანად ან ნაწილობრივ აკლია ზოგიერთი პირობითი ნიშნის განმარტება. საკუთარი ცოდნისა და რუკაზე არსებული ინფორმაციის გამოყენებით, უპასუხეთ დასმულ კითხვებს.

კითხვები:

(3) **25.1.** რომელ სახელმწიფოებს შორის მიმდინარე ომის სამხედრო მოქმედებებია დატანილი რუკაზე და რეგიონში არსებული რომელი მესამე სახელმწიფო არ მონაწილეობდა ომში?

(1) **25.2.** მხოლოდ რუკაზე არსებული ინფორმაციიდან გამომდინარე, რომელ წელს დაიწყო ომი?


(1) **25.3.** რომელმა სახელმწიფომ გაიმარჯვა ომში?

(2) **25.4** დაასახელეთ ქალაქები, რომლებიც ომში გამარჯვებულმა მხარემ დაიკავა და დღეს ისინი საქართველოს ტერიტორიაზეა?

(1) **25.5.** დაასახელეთ ქალაქი, რომელიც ომში დამარცხებულ მხარეს დარჩა, მაგრამ დღეს საქართველოს ტერიტორიაზეა?

(1) **25.6.** მხოლოდ რუკაზე არსებული ინფორმაციიდან გამომდინარე, რომელ წელს დამთავრდა ომი?

(1) **25.7.** თქვენი აზრით, რომელი მეომარი ქვეყნის მხარე უნდა დაეჭირათ მაშინ ქართველებს და რატომ?



პასუხები:

(1ქ) 1.ა

(1ქ) 2.დ

(1ქ) 3.ა

(1ქ) 4.ბ

(1ქ) 5.დ

(1ქ) 6.ბ

(1ქ) 7.ა

(1ქ) 8.გ

(1ქ) 9.ბ

(1ქ) 10.ბ

(1ქ) 11.ა

(1ქ) 12.გ

(1ქ) 13.ა

(1ქ) 14.დ

(1ქ) 15.დ

(3ქ) 16. 4 2 1 3

(3ქ) 17. 1 3 2 4

(3ქ) 18. 3 2 4 1

(3ქ) 19. (1) გიორგი IV; (2) მონღოლები; (3) ნარინი.

(3ქ) 20. (1) სოლომონ I; (2) 1810; (3) ალექსანდრე I.

(4ქ) 21.

	ა	ბ	გ	დ	ე	ვ
1						X
2					X	
3				X		
4		X				

(4ქ) 22.

	ა	ბ	გ	დ	ე	ვ
1				X		
2					X	
3			X			
4						X

(20ქ) 23.

არის	უნდა იყოს
1. 1937	1. 1939
2. ჩეხეთი	2. პოლონეთი
3. 1942	3. 1941
4. რუსეთი	4. სსრკ
5. გერმანია	5. იაპონია
6. სამხრეთი	6. ჩრდილოეთი
7. დასავლეთი	7. აღმოსავლეთი
8. საფრანგეთი	8. დიდი ბრიტანეთი
9. 1946	9. 1945
10. ჩინეთი	10. იაპონია

(12ქ) 24.

(2ქ)24.1. სხვა ხალხებს ქორწინებით არ ერევიან//სუფთა ხალხს წარმოადგენენ //ერთნაირი, მსგავსი გარეგნობა აქვთ.

(2ქ) 24.2. შეეგუენ შიმშილს და სიცივეს//ვერ უძლებენ წყურვილს და სიცხეს.

(4ქ) 24.3. ვაჭრობა//მეცხოველეობა//მიწათმოქმედება//მეხილეობა//მიწის გამო.

(2ქ) 24.4. ნებისმიერი ლოგიკური პასუხი, რომელიც არ შიდავს ფაქტობრივ შეცდომას, ფასდება 1 ქულით.

(2ქ) 24.5. გაცვლას//ფული არ აქვთ//ოქრო და ვერცხლი არ აინტერესებთ.

p.s. ფაქტობრივი შეცდომის შემთხვევაში პასუხი 0 ქულით ფასდება.

(10ქ) 25.

(3ქ) 25.1. რუსეთი და თურქეთი (ოსამლეტი); ირანი (სპარსეთი).

(1ქ) 25.2. 1828.

(1ქ) 25.3. რუსეთმა//რუსეთის იმპერიამ.

(2ქ) 25.4. ახალციხე; ახალქალაქი.

(1ქ) 25.5. ბათუმი.

(1ქ) 25.6. 1829.

(1ქ) 25.7. ნებისმიერი ლოგიკური, არგუმენტირებული პასუხი, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას, 1 ქულით ფასდება.

p.s. ფაქტობრივი შეცდომის შემთხვევაში პასუხი 0 ქულით ფასდება.